ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა

„დიღომი 2007“-ს დამფუძნებელ წევრთა

კრების ოქმი №08/2014

თბილისი 04.08.2014წ.

2014 წლის 4 აგვისტოს თბილისში, გაიმართა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „დიღომი 2007“-ს დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ამხანაგობის ორივე დამფუძნებელი წევრი, კერძოდ:

1. **ირაკლი გულბათაშვილი** (პ/ნ 01031003996)
2. **კახაბერ კახიანი** (პ/ნ 01011050989),

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხანაგობის თავმჯდომარე ირაკლი გულბათაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობა „დიღომი 2007“-ს მიერ ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის წარდგენა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურში.
2. ავთანდილ ლომსაძისათვის სპეციალური უფლებამოსილების მინიჭება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით კახაბერ კახიანმა განაცხადა, რომ ამხანაგობა აწარმოებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში დეველოპერული კომპანია „ევორდის“ მიერ გასხვისებულ იქნა ფართები 17 სართულზე ისე, რომ მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული იყო მხოლოდ 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ მობინადრეთა დაკმაყოფილების მიზნით, რომელთაც საცხოვრებელი ბინები შეძენილი აქვთ 7-ე სართულის ზევით, საჭიროა განხორციელდეს საცხოვრებელი სახლის სამშენებლო პროექტის კორექტირება იმგვარად, რომ გაჩნდეს შესაძლებლობა ფართი გადაეცეს ყველა პირს, რომელსაც წინა პერიოდში დეველოპერული კომპანიისგან აქვთ შეძენილი ბინები.

კახაბერ კახიანმა განაცხადა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება კორექტირებული პროექტის წარდგენაზე.

კახაბერ კახიანის მოსაზრებას სრულად დაეთანხმა ირაკლი გულბათაშვილი და ამასთან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია ამხანაგობის არქიტექტორს ავთანდილ ლომსაძეს (პ/ნ 01019015694) მიენიჭოს უფლებამოსილება ამხანაგობის სახელით განახორციელოს ყველა

1: ირაკლი გულბათაშვილი

2. კახაბერ კახიანი

საჭირო ქმედება კორექტირებული პროექტის წარდგენისა და შესაბამისი ნებართვის მიღების პროცესში.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ერთხმად **გადაწყვიტეს:**

1. წარდგენილ იქნას კორექტირებული სამშენებლო პროექტი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურში.
2. მიენიჭოს ავთანდილ ლომსაძეს (პ/ნ 01019015694) ამხანაგობის სახელით ყველა უფლებამოსილება, რაც საჭიროა კორექტირებული პროექტის წარდგენის, შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის მიღებისათვის.

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „დიღომი 2007“-ს
დამფუძნებელ წევრები:

ირაკლი გულბათაშვილი (პ/ნ 01031003996)

კახაბერ კახიანი (პ/ნ 01011050989)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140815267
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.08.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	ნათელა გაგაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქ. წამებულის N92
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2774500;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	20402516243214

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თოთხმეტი წლის ოთხ აგვისტოს, მე, ნოტარიუსს ნათელა გაგაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ქ.წამებულის №92-ში, პირველ სართულზე, მომმართეს სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა, ბატონებმა: ირაკლი გულბათაშვილმა და კახაბერ კახიანმა, რომლებმაც წარმომიდგინეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „დიღომი 2007“-ის 2014 წლის 04 აგვისტოს დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი №08/2014-ის ორი ეგზემპლარი ორ-ორ გვერდზე და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე ბატონი ირაკლი გულბათაშვილის პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა ირაკლი გულბათაშვილმა (დაბ. 26.01.1981წ. პირადი №01031003996, მცხ.: მცხეთა, სამხედროს დას. №5, ბ.№6-ში) მომმართა.

მე დავადასტურე ბატონი კახაბერ კახიანის პირადობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი პირის მოწმობის გამოყენებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა კახაბერ კახიანმა (დაბ. 25.10.1970წ. პირადი №01011050989, მცხ.: თბილისი, გურჯაანის ჩიხი №6, ბ.№11-ში) მომმართა.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. მე, ნოტარიუსმა, განვუმარტე მათ, რომ თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტისა „ნოტარიუსი განცხადების დამოწმებისას ადასტურებს, რომ განცხადება და/ან ხელმოწერა მასზე უშუალოდ განმცხადებელს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათზე. ასევე, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა, „გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა.“

აღნიშნული განმარტების შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე **კრების ოქმის** ორ ეგზემპლარზე ორ-ორ გვერდზე, რასაც ვამოწმებ. (და არა **კრების ოქმში** აღნიშნული ფაქტის სინამდვილეს).

გადახდილია სულ: თვრამეტი (18.00) ლარი, აქედან: საზღაური – თექვსმეტი (16,00) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ორი (2.00) ლარი - ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 39-ე მუხლის I პუნქტისა.

ნოტარიუსი: ნათელა გაგაძე